ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 1

ხარაგაული 13 მარტი 2012 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კობა გოგსაძე – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

ლაშა ნიქაცაძე – საკონკურსო კომისიის წევრი.

ზურაბ ბანცაძე – საკონკურსო კომისიის წევრი.

ვლადიმერ გელაშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი.

კახაბერ ხიჯაკაძე – საკონკურსო კომისიის წევრი.

გივი კურტანიძე – საკონკურსო კომისიის წევრი.

ლაშა კვირიკაშვილი – საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი.

დღის წესრიგი:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე საკონკურსო განცხადების განხილვა და დამტკიცება.

განიხილეს:

საკონკურსო კომისიის წევრმა ლაშა ნიქაცაძემ საკონკურსო კომისიას წარუდგინა საკონკურსო განცხადების პროექტი. საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი განცხადება და აღნიშნეს, რომ ყოველივე შეესაბამება „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მოთხოვნებს.

კომისიამ დაადგინა:

დამტკიცდეს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე საკონკურსო განცხადება წინამდებარე ოქმზე დართული ფორმით და რედაქციით.

კომისიის თავმჯდომარე:		კობა გოგსაძე
კომისიის წევრები:		ლაშა ნიქაცაძე
		ზურაბ ბანცაძე
		ვლადიმერ გელაშვილი
		კახაბერ ხიჯაკაძე
		გივი კურტანიძე
კომისიის აპარატის წევრი:		ლაშა კვირიკაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 2

ხარაგაული 29 მარტი 2011 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კობა გოგსაძე – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

ლაშა ნიქაცაძე – საკონკურსო კომისიის წევრი.

ზურაბ ბანცაძე – საკონკურსო კომისიის წევრი.

ვლადიმერ გელაშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი.

კახაბერ ხიჯაკაძე – საკონკურსო კომისიის წევრი.

გივი კურტანიძე – საკონკურსო კომისიის წევრი.

ლაშა კვირიკაშვილი – საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი.

დღის წესრიგი:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვედზე 2012 წლის 13 მარტს გამოცხადებულ №358 კონკურსის შედეგების განხილვა.

განიხილეს:

საკონკურსო კომისიის წევრმა ლაშა ნიქაცაძემ აღნიშნა, რომ 2012 წლის 22 მარტს 18 საათისათვის შემსყიდველ ორგანიზაციაში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა – ფიზიკური პირი ვალერი მიმინოშვილი შემდეგ თანხაზე: 2780 (ორი ათას შვიდას ოთხმოცი) ლარი. საკონკურსო კომისიამ განიხილა ფიზიკური პირის ვალერი მიმინოშვილის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

კომისიამ დაადგინა:

1. საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუაკებით შესყიდვაზე ხელშეკრულება დაიდოს ფიზკურ პირ ვალერი მიმინოშვილთან.
2. ფიზიკურ პირ ვალერი მიმინოშვილს ეცნობოს წერილობით და განესაზღვროს 5 (ხუთი) სამუშაო დღე ხელშეკრულების დასადებად.

კომისიის თავმჯდომარე: კობა გოგსაძე

კომისიის წევრები: ლაშა ნიქაცაძე

ზურაბ ბანცაძე

ვლადიმერ გელაშვილი

კახაბერ ხიჯაკაძე

გივი კურტანიძე

კომისიის აპარატის წევრი: ლაშა კვირიკაშვილი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ხარაგაული 29 მარტი 2012 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ თვითმმართველი ერთეული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის 13 მარტს N358 კონკურსის საშუალებით საპროექტო მომსახურების შესსყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის თავჯდომარე: კობა გოგსაძე

საკონკურსო კომისიის წევრები: ლაშა ნიქაცაძე

ვლადიმერ გელაშვილი

ზურაბ ბანცაძე

კახაბერ ხიჯაკაძე

გივი კურტანიძე

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი: ლაშა კვირიკაშვილი

საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

5600, ხარაგაული 9 აპრილის ქ.15

ტელ. 8 (233) 2-14-44

29–03–2012 №01-16/246

ბატონ ვალერი მიმინოშვილს

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ 2012 წლის 22 მარტს წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. გთხოვთ არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მობრძანდეთ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა გოგსაძე

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება № 70

ხარაგაული 3 აპრილი 2012 წ.

ერთის მხრივ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო, (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის აკაკი მაჭავარიანის სახით და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი ვალერი მიმინოშვილის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი ვალერი მიმინოშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის გათვალისწინებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი – შემსყიდველს.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. დაბა ხარაგაულში მშენებარე სპორტული კომპლექსის ეზოს სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (CPV 71300000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2780 (ორი ათას შვიდასოთხმოცი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

ვ. ვალერი

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.
4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადებზე მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. მომსახურების ადგილი და ვადა

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოხდება შემდეგ მისამართზე: ხარაგაული, 9 აპრილის ქ. №15.
6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა დასრულდეს 2012 წლის 13 აპრილამდე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
ბ) მომსახურება გაწიოს სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2. პუნქტში.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.
8.2. ინსპექტირება გულისხმობს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შესმსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებულია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში
მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
MUNICIPALITY COUNCIL OF KHARAGAULI
GEORGIA
243570989

შემსყიდველი

მიმწოდებელი

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვადებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთებიშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:

ხარაგაულის
საკრებულოს თავჯდომარე
აკაკი მაჭავარიანი

ს.ს. „ლიბერთი ბანკის“
ხარაგაულის ფილიალი
კოდი: LBRTGE22
ა/ნ № GE89LB0121141455357000
ს/კოდი: 243570989

მის. დ. ხარაგაული, 9 აპრილის ქ. №15
№9

მიმწოდებელი:

ფიზიკური პირი
ვალერი მიმინოშვილი

ს.ს. „საქართველოს ბანკის“
ცენტრალური ფილიალი
კოდი: BAGAGE22
ა/ნ № 896254100
ს/კოდი: 01015001043

მის. ქ. თბილისი, ვ. გორგასლის IV შეს.